შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№14 (10.022)

30 აპრილი-7 მაისი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სამუშაო შეხვედრა მუნიციპალიტეტების მერებთან

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის, ირაკლი შიოშვილის ხელმძღვანელობით მუნიციპალიტეტების მერებთან გასვლითი სამუშაო შეხვედრა ამჯერად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გაიმართა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტების მიხედვით განხილული იქნა მიმდინარე საკითხები და არსებული გამოწვევები.

ყურადღება გამახვილდა მიუსაფარი კომპანიონი ცხოველების მართვის საკითხზე, სამუშაო შეხვედრაში მიუსაფარ ცხოველთა მართვის კახეთის რეგიონული სააგენტოს ხელმძღვანელი, თემურაზ ზავრაშვილი იღებდა მონაწილეობას, რომელმაც გასული თვეები შეაჯამა და მოხსენებით წარსდგა თათბირზე.

შეხვედრის ფარგლებში განიხილეს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამა „განახლებული რეგიონები“ და იმსჯელეს პროგრამის მიმდინარეობაზე რეგიონში განსახორციელებელი სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების პარალელურად.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის საკითხებზე იმსჯელეს

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი, თენგიზ ნასარიძე კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, გივი მეტრეველთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობების ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმართულებით ადგილზე გამოვლენილი საჭიროებები დეტალურად განიხილეს. მიმდინარე წელს, კახეთის რეგიონში 35 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები დაიწყება, შედეგად, დამატებით 6 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად მოირწყვება, ხოლო წყლის მიწოდება 10 ათას ჰექტარზე გაუმჯობესდება.

„სამუშაო შეხვედრა გავმართეთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მუნიციპალიტეტების მიხედვით, დეტალურად განვიხილეთ ის საჭიროებები, რომელიც ოპერატიულ რეაგირებას მოითხოვს. მოგეხსენებათ, კახეთის რეგიონში მოსახლეობის უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობითაა დაკავებული და, შესაბამისად, გამართული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. შეხვედრაზე დავგეგმეთ განსახორციელებელი პროექტები. ჩვენი თანამშრომლობა აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება. ერთობლივი ძალისხმევით, უნდა შევძლოთ, სარწყავმა სეზონმა შეფერხებების გარეშე ჩაიაროს. ამ ეტაპზე, კახეთში, ერთდროულად, რამდენიმე პროექტი ხორციელდება. გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის, ხოლო ახმეტისა და თელავის მუნიციპალიტეტებში ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის წყალგამანაწილებლების რეაბილიტაცია მიმდინარეობს“, - განაცხადა შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ.

2022 წელს ახმეტისა და თელავის მუნიციპალიტეტებში:

*ზემო ალაზნის სარწყავ სისტემაზე დაგეგმილია: მაგისტრალური არხის მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაცია, ღვარსაშვის მოწყობა, სარწყავი სისტემის წყალგამანაწილებელზე დახურული მილსადენის აღდგენა, მაგისტრალური არხის გვირაბის ავარიული მონაკვეთის აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლების საკობიანო, ბაყილოვანი და მატანის გზაგამტარების რეაბილიტაცია.

*გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში, ქვემო ალაზნის სარწყავ სისტემაზე შემდეგი სამუშაოები ჩატარდება: მაგისტრალურ არხზე არსებული სამთაწყაროს წყალსაგდების, ვეჯინის სწრაფმდენის, მასზე არსებული სარეგულაციო კვანძის და კალაურის ავარიული წყალსაგდების რეაბილიტაცია; მაგისტრალური არხის გამანაწილებლების რეაბილიტაცია.

*ქალაქ ლაგოდეხში გამავალი სარწყავი არხის 2 კილომეტრიანი მონაკვეთი რკინაბეტონით მოპირკეთდება.

*დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია სოფელ სამთაწყაროს მექანიკური მორწყვის სისტემის გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია, ჩატარდება სამთაწყაროს სატუმბი სადგურის სადაწნეო მილსადენის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენის და ფიროსმანის სატუმბი სადგურის მოდერნიზაციის სამუშაოები.

*სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ძველი ანაგის მექანიკური მორწყვის სისტემაზე დამატებითი სარწყავი ქსელის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება.

C M Y K

ინოვაციური მიდგომები აგროკულტურაში - ყველაფერი ახალი დავიწყებული ძველია

რა არის პერმაკულტურა, რეგენერაციული აგროკულტურა? ტერმინები თითქოს უცხოა, თუმცა, თავისი შინაარსით ის სრულიად ნაცნობი და დავიწყებული მარტივი ჭეშმარიტებაა, რომელიც გლეხის მრავალწლოვანი პრაქტიკული გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგად აღმოცენდა. თუმცა, ბოლო დროს, სოფლად გლეხის შრომა-საქმიანობამ ნელ-ნელა დაკარგა ბუნებრივობა და გაქრა გლეხის ფუნქციაც, რომელიც თავის საკარმიდამო ნაკვეთში, ხელით ამუშავებდა ნიადაგს, მოჰყავდა ყველანაირი საკვები პროდუქტი, ზრდიდა ფრინველებს და ცხოველებს, იყენებდა ბუნებისგან ბოძებულ ბუნებრივ საკვებს ნიადაგის გასანოყიერებლად: ფოთოლს, ხმელ ბალახს, ნაცარს, ნაკელს, ფრინველის ექსკრემენტებს და აწარმოებდა ჯანმრთელ პროდუქტებს. ჯანმრთელი ნიადაგისგან იღებდა ყველაფერს, რასაც საკუთარი შრომით, მზის ენერგიით, წვიმით თუ ნაბან-ნარეცხი წყლის გამოყენებით ქმნიდა. საოჯახო სურსათის ამგვარი წარმოება მუდმივობის, დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ „მდგრადობის“ რეალური გამოვლინება იყო, რომელიც თანდათან ინტენსიური სოფლის მეურნეობით ჩანაცვლდა.

დღეს მსხვილი ფერმერები მიწის დასამუშავებლად და შრომის შესამსუბუქებლად იყენებენ თანამედროვე ტექნიკას და მეტწილად არაორგანულ სასუქებს, რაც მართალია ზრდის მოსავლიანობას, მაგრამ აძვირებს წარმოებას, ხშირ შემთხვევაში კი საფრთხეს უქმნის ჩვენს საარსებო გარემოს, რადგან შესაბამისი აგრონომიული განათლების დეფიციტის გამო, ვერ ხდება აგროპროცესების იმ კანონზომიერებით დაცვა, რაც ნიადაგის, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის პრინციპებს უკავშირდება. ბიზნესის წესებმა თავისებური „წესრიგი“ დაამყარა და ერთგვარი გავლენა მოახდინა გლეხის აზროვნებაზე; თანდათან დაიკარგა ტრადიციული წარმოების მიდგომები და გლეხის ფუნქციაც გაქრა, იმ გლეხის, რომელიც ბუნებრივ გარემოში, ბუნებრივი საშუალებებით აწარმოებდა რეალურად ნატურალურ, ჯანმრთელ პროდუქტს. სამწუხაროდ, დღევანდელმა შინამეურნეებმა ფერმერებივით ტრაქტორების და სასუქების გამოყენება დაიწყეს და დაკარგეს ის ნიშა, რაც გლეხურ წარმოებას ჰქონდა.

საბედნიეროდ, ორიოდე წლის წინ, რეგენერაციული აგროკულტურის მიმდევრებმა საქართველოში შექმნეს „რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრი“, რომელსაც ბატონი გია რაზმაძე ჩაუდგა სათავეში და თავის მიმდევრებთან ერთად, დაიწყო უმნიშვნელოვანესი საქმის კეთება.

სულ ცოტა ხნის წინ, „დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის“ ფეისბუქგვერდზე დაიდო ინფორმაცია დედოფლისწყაროში ახალი პროექტის დაწყების შესახებ. გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით, სოფელ არხილოსკალოში „ცოდნის სახლის“ ბაზაზე, იქმნება საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი, სადაც უკვე დაწყებულია ინტენსიური ტრენინგების ჩატარება და სერტიფიცირებული აგრონომიული განათლების სპეციალისტების მომზადება.

პროექტის მიზანია, პოპულარიზაცია გაუწიოს რეგენერაციულ აგროკულტურასა და გარემოსდაცვით მიდგომებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ასევე, ხელი შეუწყოს ფერმერებისა და საოჯახო მეურნეობების გაძლიერებას საჭირო უნარებითა და ცოდნით.

პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „რეგენერაციული აგროკულტურის ცენტრი“ - CRA, რომლის პარტნიორია ევროკავშირის პროექტის ფარგლებში შექმნილი დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი.

შერჩეული პირები უფასოდ გადიან ოთხთვიან სასწავლო კურსს, რომელიც მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ გაკვეთილებს, მათ შორის მცირე სანერგე მეურნეობისა და სადემონსტრაციო ნაკვეთის ერთობლივ შექმნას. პროექტს ხელმძღვანელობს განათლების სფეროს ექსპერტი მაგდა ქაჯაია, ხოლო ადგილობრივ დონეზე კოორდინაციას უწევს მარინა წიკლაური, რომელიც დედოფლისწყაროს „ლაგის“ საბჭოს ერთერთი აქტიური წევრია და მუდმივად ზრუნავს თავისი სოფლის განვითარებაზე, სწორედ მის საკარმიდამო ნაკვეთში მიმდინარეობს აჟამად სადემონსტრაციო რეგენერაციული სანერგე მეურნეობის მოწყობა კურსის მსმენელთა და სტუდენტთა მონაწილეობით, რომლებიც მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატებს, პროექტის დასრულების შემდეგ კი ცოდნას და გამოცდილებას გაუზიარებენ მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ფერმერებსა თუ შინამეურნეობაში ჩართულ ქალებსა და ახალგაზრდებს.

ტრენინგებს ატარებს და სამეურნეო საქმიანობას ხელმძღვანელობს პროექტის ექსპერტი **გია რაზმაძე**, „რეგენერაციული აგროკულტურის“ ქართველი მიმდევარი და საკუთარი ქვეყნის პატრიოტი ადამიანი, რომელმაც ირწმუნა, ითავა და პრაქტიკულად ნერგავს რეგენერაციული აგროკულტურის მეთოდოლოგიას. მისი აზრით, ბუნებრივობა და ადამიანთა საარსებო გარემოში ბუნების მიერ შემოთავაზებული ბალანსის დაცვა, უპირველესად, სოფლად მცხოვრები გლეხების ერთგვარი ფუნქციური „ვალდებულებაა“ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის ასაღორძინებლად და ჯანსაღი, ნატურალური პროდუქტის საწარმოებლად.

ბატონმა გიამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ამ მეთოდის განმსაზღვრელი ფაქტორი ბუნებრივობაა. ბუნებრივი, ნატურალური საკვები ადამიანთა ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს უზრუნველყოფს, რეგენერაციული აგროკულტურით შექმნილი ბაღები კი გლეხებს ნაკლები შრომით და დანახარჯებით აძლევს უნიკალურ პროდუქტებს, რასაც სხვებსაც უნაწილებს და იღებს დამატებით შემოსავალს.

ასეთი ბაღების შექმნისას, გლეხის საკარმიდამო ნაკვეთში იქმნება ეკოსისტემა, სადაც ბუნებრივად ხარობენ კონკრეტულად იმ ადგილისთვის, კლიმატისთვის შერჩეული ჯიშები, ხანგრძლივად მოყვავილე მცენარეები, რომლებიც იზიდავენ მწერებს, რაც სასარგებლო მწერების მიერ მავნე მწერების განადგურებას და მცენარეთა ბუნებრივ დაცვას უზრუნველყოფს, იგივე მიზანს ემსახურება ფრინველების და ცხოველების არსებობა ამ ბაღში, რომლებიც ფოთლებთან, ბალახთან და მიწის ცოცხალ ორგანიზმებთან ერთად, უზრუნველყოფენ ნიადაგის სტრუქტურის მუდმივ გაუმჯობესებასა და ჰუმუსის წარმოქმნას.

თუ ჩვენ გვინდა, რომ მცენარისგან მოსავალი მივიღოთ, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ პირობებში გრძნობს ეს მცენარე თავს კარგად და ვეცადოთ, რომ ეს პირობები შევუქმნათ კიდეც. სწორედ ესაა რეგენერაციული აგროკულტურის ყველა მიმდინარეობის მთავარი ამოცანა და ეს მიდგომა განასხვავებს მას „ინდუსტრიული სოფლის მეურნეობისაგან“.

ინდუსტრიულმა სოფლის მეურნეობამ ძალიან ბევრი მცდარი შეხედულება დაამკვიდრა და ჩვენ პირველ რიგში მათგან გათავისუფლება უნდა შევძლოთ. მთავარი ცრურწმენა მაინც ისაა, რომ თითქოს ბუნების წარმმართველ ძალას კონკურენცია და ომი წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ბუნებაში ომი და კონკურენციაც არსებობს, მაგრამ მთავარი მაინც სიმბიოზია. სიცოცხლის ბევრ განსხვავებულ ფორმას ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლია. მაგალითად, მცენარეები ვერ იარსებენ ნიადაგის მიკროორგანიზმების, სოკოების, ჭიაყელების, მწერების და სხვა არსებების გარეშე, რომლებსაც ბევრი ფერმერი ანადგურებს სასუქების გამოყენებით.

რა არის „პერმაკულტურა“?

„პერმაკულტურა“ შეიქმნა ბილ მოლისონის მიერ, თავის მოსწავლესთან დევიდ ჰოლმგრენთან ერთად, 70-იან წლებში ავსტრალიაში, სიტყვების კომბინაციიდან: მუდმივი არის სოფლის მეურნეობა.

მათ ეს განსაზღვრეს, როგორც ლანდშაფტის დიზაინის სისტემა, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი, ბუნებრივი სამყაროსთან ჰარმონიაში. სისტემა, რომელშიც საკვები, ენერგია და თავშესაფარი, სხვა მატერიალურ და არამატერიალურ საჭიროებებთან ერთად, მდგრადი გზით ხვდება. რა თქმა უნდა, თქვენ ვერ გექნებათ მუდმივი სოფლის მეურნეობა დამხმარე კულტურის გარეშე და ასევე პერმაკულტურა - მუდმივი კულტურა. რას ნიშნავს სიტყვა „მუდმივი“?

აი, რას წერენ პერმაკულტურის დღევანდელი მიმდევრები: **„მუდმივი ნიშნავს რაღაც სტაბილურს და ხანგრძლივს. ასე რომ, როდესაც ვსაუბრობთ სისტემებსა და სტრუქტურებზე, რომლებიც ეხება საკვებს, წყალს და ენერგიას, ვგულისხმობთ იმას, რაც გაგრძელდება და არა დეგრადირება. მუდმივ სოფლის მეურნეობას აქვს შესაძლებლობა, შეინარჩუნოს საკუთარი თავი დროის შეზღუდვის გარეშე, მას შეუძლია შექმნას მეტი ენერგია, ვიდრე დასჭირდა წარმოებას. ეს არის რეგენერაციული პროცესი.**

პერმაკულტურით ჩვენ ვქმნით ამ ტიპის დიზაინს: ვქმნით ნიადაგს, ვწმენდთ წყალს, ვაწარმოებთ ჯანსაღ საკვებს, ვაშენებთ ეკოლოგიური მასალებით, ჩვენ ვქმნით ბიომრავალფეროვნებას. ამიტომ საქმე ეხება იმ გარემოზე ზრუნვას, რომელშიც ის იზრდება და საიდანაც მიიღება საკვები. ინტენსიური სოფლის მეურნეობის საპირისპირო მიზანი იყო ნიადაგის გაღარიბებით გამოყენება.

არსებობს სოფლის მეურნეობის წარმოების არაჩვეულებრივი მეთოდი რომელსაც ბილ მოლისონმა „პერმაკულტურა” უწოდა, რომელიც გულისხმობს მუდმივ — უწყვეტ მეურნეობას, უწყვეტ პროცესს. სწორად გამართული პერმაკულტურა არის იდეალური თანამშრომლობის მაგალითი როდესაც თითოეული ელემენტი (მცენარე, ცხოველი, სახლი, ღობე, წყალი, ადამიანი...) მთელი სისტემის ნაწილია და ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას ასრულებს. პერმაკულტურა არის მეურნეობისადმი სისტემური მიდგომა და საბოოლოო მიზანია ,შეიქმნას ისეთი ბუნებრივი მექანიზმი, რომელიც ადამიანის გარეშე იფუნქციონირებს და მოუტანს დოვლათს. ერთი შეხედვით ზღაპარს გავს, მაგრამ ვნახოთ რაზეა საუბარი. პერმაკულტურის პრინციპების გამოყენება ნიშნავს იმას, რომ ჯობს ჯერ დააკვირდე შენს სახლს, შენს ნაკვეთს, განსაზღვრო შენი მიზანი და დაფიქრდე, რანაირად შეიძლება მომავალი სისტემის — ფერმის სხვადასხვა ელემენტები ისეთნაირად განალაგო, რომ ერთდროულად რამოდენიმე ფუნქციას ასრულებდნენ და მთლიანი სისტემის და მისი ცალკეული ელემენტების ფუნქციონირებაში იღებდნენ მონაწილეობას.

/გაგრძელება შემდეგ გვერდზე/

ინოვაციური მიდგომები აგროკულტურაში - ყველაფერი ახალი დავიწყებული ძველია

/დასაწყისი წინა გვერდიდან/

ასევე აღსანიშნავია, რომ პერმაკულტურაში ინტენსიურად გამოიყენება მულჩირება და კომპოსტირება, მიკროკლიმატური ზონების მოწყობა, მცენარეთა შესაძლო თანაცხოვრება კულტურათა მონაცვლეობა, სასარგებლო მწერების მომრავლება და სხვა. მაგალითად სახლმა, როგორც სისტემის ერთ ერთმა ელემენტმა, შესაძლოა, სახურავით წყალი შემიგროვოს, სამხრეთის კედელთან საჩითილის ან პატარა სათბურის გაკეთება შეიძლება, რომლის ერთ ბოლოში ქათამს დავასახლებ და ღამით სათბურში სითბოსა და ნახშიროჟანგს მოგვცემს, ასევე უფასო სასუქს. ასეთი მაგალითები უამრავი შეიძლება მოვიყვანოთ. ამიტომ თუ წინასწარ განვსაზღვრავთ თითოეული ელემენტის თვისებებს, შევძლებთ შევქმნათ იდეალური ეკო სისტემა ბუნებასთან თანამშრომლობის პრინციპით და ეს ფერმა იქნება თვითმყოფადი ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ადამიანის დახმარებით და არა უხეში ჩარევით შეძლებს ავტომატურ ფუნქციონირებას და ჭარბი მოსავლის მოცემას. ბუნებაში არაფერი არ ხდება ძალის გამოყენებით, იქ სადაც ადამიანი არ ერევა ყველაფერი ჭარბადაა და მასთან თანამშრომლობით უნდა შევძლოთ ამ სიჭარბის შექმნა ჩვენს ბაღებში.“

მოკლედ, ამ კონცეფციის მიმდევრებმა არხილოსკალოში დიდი ენთუზიაზმით დაიწყეს რეგენერაციული აგროკულტურის დანერგვა, როგორც ბატონმა გიამ აღნიშნა, სურთ დადონ რეალური შედეგი და მოსახლეობამ თავისი თვალით ნახოს ის სიკეთეები, რაც ამ პროცესებს მოჰყვება. ასეთი ბაღები საქართველოში უკვე რამდენიმე ადგილას არის შექმნილი და საზოგადოების დიდი დაინტერესება გამოიწვია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სასწავლო კურსში, ადგილობრივებთან ერთად, სხვა რეგიონებიდანაც დაინტერსდნენ და საკუთარი ხარჯებით ჩაერთნენ პროცესებში. ბატონი გია მათ ვიდეო გაკვეთილებსაც სთავაზობს და ეხმარება სასარგებლო რჩევებით, რასაც შემდგომ თავიანთ რეგიონში, საკუთარ ბაღებში გამოიყენებენ.

ანა ბენაშვილი,
პროექტის მონაწილე, პარტნიორი ორგანიზაცია - „დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი“

„დედამიწაზე ფეხი რომ დავდგით, უკვე ვალი გვაქვს მისი“...

დედამიწის დღე – ყოველწლიური ღონისძიებაა, რომელიც 22 აპრილს აღინიშნება. ამ დღეს მსოფლიოს გარშემო იმართება გარემოს დაცვის მხარდასაჭერი ღონისძიებები. ის პირველად აღინიშნა 1970 წელს, დღესდღეობით კი დედამიწის დღის ქსელის მიერ მსოფლიო მასშტაბითაა კორდინირებული და ყოველწლიურად აღინიშნება 193-ზე მეტ ქვეყანაში.

2016 წლის დედამიწის დღეზე ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის და სხვა 120 ქვეყნის მიერ ხელი მოეწერა ისტორიული მნიშვნელობის მქონე „პარიზის შეთანხმებას“, რის შედეგადაც უნდა ამოქმედდეს ისტორიული კლიმატის დაცვის შეთანხმება, რომელიც 2015 წლის გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერცენციის მონაწილე 195 სახელმწიფომ დადო პარიზში.

1969 წელს სან-ფრანცისკოში გამართულ იუნესკოს კონფერენციაზე, მშვიდობის აქტივისტმა ჯონ მაკკონელმა წამოაყენა აზრი, შექმნილიყო დედამიწის და მშვიდობის ცნების პატივსაცემი დღე და ის პირველად აღნიშნულიყო 1970 წლის 21 მარტს, გაზაფხულის პირველ თვეს ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. მოგვიანებით მაკკონელმა ამ დღის შესახებ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომელსაც ხელი მოაწერა გაეროს გენერალურმა მდივანმა. ერთი თვის შემდეგ შეერთებული შტატების სენატორმა გეილორდ ნელსონმა გარემოზე სამსჯელოდ დააფუძნა ცალკე დედამიწის დღე, რომელიც პირველად 1970 წლის 22 აპრილს გაიმართა. ნელსონმა ამისთვის მოგვიანებით თავისუფლების საპრეზიდენტო მედალი მიიღო. 22 აპრილის დედამიწის დღე კონცენტრირებული იყო შეერთებულ შტატებზე, თუმცა, დენის ჰეიესმა, რომელიც 1970 წელს თავდაპირველი საყოველთაო ორგანიზების კოორდინატორი იყო, შექმნა ორგანიზაცია, რომელმაც ამ დღეს საერთაშორისო სახე მისცა და 141 ქვეყანაში გაუკეთა ორგანიზება. მრავალი გაერთიანება დედამიწის კვირას აღნიშნავს, ერთკვირიანი აქტივობები გარემოს იმ პრობლემებს ეხება, რის წინაშეც მსოფლიო დგას.

ამ დღეს უამრავი აქტივობა მოეწყო ჩვენს მუნიციპალიტეტშიც.შესაბამისი ღონისძიება თითქმის ყველა სკოლას ჰქონდა დაგეგმილი. „დედამიწაზე ფეხი რომ დადგი,უკვე ვალი გაქვს მისი“ამ სლოგანით ჩატარდა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ქ.დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაში. ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკოკლუბ „ეკოლოგებმა“ ამავე სკოლის მოსწავლეებთან ერთად აღნიშნეს დედამიწის დღე და სხვადასხვა აქტივობები განახორციელეს სკოლის ეზოში, მათ შორის, დასუფთავების და გამწვანების აქციები.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაციის ბუნებრივი რესურსების უფროს სპეციალისტს, ბიოლოგს და ეკოლოგს, ქ-ნ ნათია ზურაშვილს:

დედამიწის საერთაშორისო დღე 1970 წლიდან აღინიშნება და ის მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი საზოგადოებრივი ღონისძიებაა. ეს დღე სენატორმა გეონლონდ ნელსონმა მას შემდეგ დაარსა, როცა სანტა ბარბარას საბადოდან ნავთობი დაიღვარა, რამაც ოკეანის დაბინძურება და წყლის ბინადართა განადგურება გამოიწვია.

1990 წლიდან ,,დედამიწის დღე“ საქართველოშიც აღინიშნება. გარემოს დამცველები ამ დღეს საზოგადოებას ახსენებენ, რომ ბუნებრივი რესურსი ამოწურვადია და გაფრთხილება სჭირდება. ამ დღეს ტარდება გამწვანების და დასუფთავების აქციები.

მე-19 საუკუნიდან კლიმატის ცვლილებები მნიშვნელოვნად დაჩქარდა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პოლუსებზე ყინულის დნობის პროცესი. დნება მყინვარები, იჩეხება ტროპიკული ტყეები, ეს კი იწვევს ბიომრავალფეროვნების მოსპობას. იმატებს საშუალო ტემპერატურა მსოფლიოში, გახშირდა ეკოლოგიური კატასტროფები და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეები. ყოველივე აქედან გამომდინარე, კაცობრიობა დიდი გამოწვევის წინაშე დადგა, რომლის გამოსწორებაც ძალიან რთულია. კლიმატის ცვლილებით მცირდება ბიომრავალფეროვნება, რაც იცავს ეკოსისტემას ინფექციური დაავადებებისგან.

ტრანსპორტის, საკვების და ენერგიის მოხმარების სწორი არჩევანის გაკეთების გზით, ჩვენ შეგვიძლია შევამციროთ დაბინძურება, გავაუმჯობესოთ გარემო და გავიუმჯობესოთ ჯანმრთელობა. მხოლოდ გარემოსადმი პასუხისმგებლობის გამოჩენა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ პოზიტიურად შევცვალოთ ჩვენი პლანეტის მომავალი.

„გავუფრთხილდეთ გარემოს, აქციე ყოველი დღე დედამიწის დღედ“. დედამიწა ჩვენი საერთო სახლია, რომლის დაცვაში თითოეულ ჩვენგანს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია.-დასძენს „შირაქთან“ საუბარში ქ-ნი ნათია და უმალ მახსენდება ერთი ამბავი. სამიოდე წლის წინ თბილისიდან სამგზავრო „მინივენით“ დედოფლისწყაროში ვბრუნდებოდი, ჩემთან ერთად ტრანსპორტში ბავშვიანი, ახალგაზრდა ქალბატონიც მგზავრობდა. მან ბავშვს ბანანი შეაჭამა გზაში და ხილის ქერქი მანქანის ფანჯრიდან უპრობლემოდ მოისროლა, ღამე იყო. როგორც დაინახა ეს მოქმედება ასევე ჩვენმა თანამგზავრმა და თანამოქალაქემ, ქ-ნმა ნანა თავაძემ, უმალვე მიმართა მძღოლს მანქანის შეჩერების თხოვნით, გადავიდა ტრანსპორტიდან, იმ სიბნელეში მოძებნა ბანანის ქერქი და წამოიღო. მე პირადად აღმაფრთოვანა მისმა საქციელმა, არ ვიცი იმ ახალგაზრდა ქალმა რა იგრძნო, მაგრამ ის ზუსტად ვიცი, რომ სანამ თითოეული ჩვენთაგანის მოქმედება არ გახდება ისეთივე სამაგალითო და პასუხისმგებლიანი, რის მაგალითიც ძალიან თავმდაბლად და დიდსულოვნად მოგვცა იმ საღამოს ქ-ნმა ნანამ, სანამ არ დავიზეპირებთ ჩვენს გონებაში , რომ „დედამიწაზე ფეხი რომ დავდგით, უკვე ვალი გვაქვს მისი“, მანამდე კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი შრომა და დედამიწისთვის სასარგებლო საქმეების კეთება მოგვიწევს კაცობრიობას, რათა იარსებოს ჩვენმა პლანეტამ და გვაარსებოს ჩვენც, მისი თანამგზავრები.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

9 მაისი - ომის ბედის წყალგამყოფი

8 მაისს მსოფლიო და 9 მაისს 12 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ნაციზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავს აღნიშნავს. რატომ ორი თარიღი და რატომ განსხვავებული მიდგომა? საქართველოში გამარჯვების დღის გადატანის იდეა რამდენიმე წლის წინ გაჩნდა და აქტუალურობას დღესაც არ კარგავს. იცვლება თუ არა რამე კალენდარში ერთი დღის ცვლილებით? რატომაა კრემლისთვის 9 მაისი ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი? და ბოლოს, რა არის, რას ემსახურება და რისთვის იყენებს რუსეთი „უკვდავი პოლკის“ იდეას?

მოდით,დავიწყოთ დასასრულით!

1945 წლის 7 მაისს საფრანგეთის ქალაქ რეიმსში, წითელ, აგურებიანი სკოლის შენობაში, ცენტრალური ევროპის დროით 02:41 წუთზე გერმანელი გენერალი ალფრედ იოდლი (გერმანიის სამხედრო საქმეთა დაგეგმვისა და აღსრულების უმაღლესი ორგანოს მეთაური) გერმანიის შეიარაღებული ძალების სახელით ხელს აწერს საერთო კაპიტულაციას მოკავშირეთა წინაშე. ომი დამთავრდა. დოკუმენტი, რომელიც ბერლინის კაპიტულაციას იუწყებოდა ხუთი პუნქტისგან შედგება. მასში წერია, რომ გერმანია მოკავშირეთა ძალებსა და სამხედრო სარდლობას ნებდებოდა. მეორე პუნქტში კი ვკითხულობთ: **„გერმანიის სარდლობა დაუყოვნებლივ მისცემს ბრძანებას ყველა გერმანელ სამხედროს, საზღვაო და საჰაერო მმართველობასა და გერმანიის კონტროლქვეშ არსებულ ძალებს, რომ შეწყვიტონ აქტიური ოპერაციები ცენტრალური ევროპის დროით 23:01 საათზე, 8 მაისს და რომ დარჩნენ იმ დროისთვის დაკავებულ პოზიციებზე“.** ეს ერთადერთი კაპიტულაციის აქტი არ არის, რომელიც გაფორმდა. სტალინის მოთხოვნით, იდენტური შინაარსის კაპიტულაციას ხელმეორედ მოეწერა ხელი 8 მაისს, ღამით, ქალაქ ბერლინში საბჭოელთა შტაბბინაში. ამჯერად ხელშეკრულებას გერმანიის მხრიდან ხელს აწერდა ფელდმარშალი კაიტელი (ფელდმარშალი გენერლის უმაღლესი რანგი იყო), საბჭოთა კავშირის მხრიდან კი - მარშალი ჟუკოვი. სტალინის მოთხოვნით ხელმოწერილი დოკუმენტი ყველა მხარემ სცნო და აღიარა.

გერმანული ძალების სამხედრო აქტივობა 8 მაისს, საღამოს 23:01 წუთზე ოფიციალურად შეწყდა. ამ დროს კი მოსკოვში, ისევე როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში 9 მაისის, 01:01 საათი იდგა. 9 მაისს გამთენიისას რადიომ გადმოსცა თბილისშიც, რომ ომი დამთავრდა. **„ჯერ კიდევ 7 მაისს უცხოეთის რადიო გადაცემიდან გაგებული გვქონდა, რომ გერმანიამ უსიტყვო კაპიტულაციაზე ხელი მოაწერა“,** - ესაა ამონარიდი მწერლისა და პუბლიცისტის, სერგო კლდიაშვილის ჩანაწერებიდან, რომელიც ლიტერატურის მუზეუმში ინახება. **„მთელი რვა მაისი მოლოდინში გავატარეთ, რომ საინფორმაციო ბიურო ამ ცნობას გამოაქვეყნებდა. ხმა გავრცელდა ქალაქში, რომ დღის 1 საათზე გამოცხადდებოდა. ნაშუადღევის პირველმა განვლო. არაფერი ისმის. შემდეგ ველოდით დღის 4 საათზე. ნერვები საშინლად დაჭიმულია. არც ოთხ საათზე ისმის რა. ღამით უცხოეთის რადიო ისევ ლაპარაკობს გერმანიის კაპიტულაციაზე. ჩერჩილმა სიტყვა წარმოსთქვა და ხალხს გამარჯვება მოულოცა. გვიან ღამემდე ვუცადე ცნობას. დაღლილმა ვეღარ გავძელ და დავწექი. ნახევარი საათის შემდეგ შალვა აფხაიძემ ტელეფონით დამირეკა და გამაგებინა, რომ რადიომ ეხლახან გადმოსცა ომის დასრულების ამბავი. მოსვენებისა და ძილის თავი აღარაა“,** - წერდა ის.

შევცვალოთ თუ არა ?

აღსანიშნავი თარიღის შეცვლის ინიციატივით პეტიცია 2019 წელსაც შეიქმნა. განმეორებით პეტიცია 18 აპრილს, „სტრატეგია აღმაშენებელმა“ გაავრცელა. „ფაშიზმზე გამარჯვება დასავლეთის ქვეყნების უმეტეს ნაწილში 8 მაისს აღინიშნება (ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი და ა.შ.). ქვეყანათა დანარჩენი ნაწილი კი ამ დღეს 9 მაისს აღნიშნავს (რუსეთი, მონღოლეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ბელორუსი და ა.შ.).

რადგან რუსეთი ისტორიას და თარიღებს იყენებს „რუსული მსოფლიოს“ მობილიზების იდეოლოგიურ ინსტრუმენტად, მნიშვნელოვანია მკაცრად განვსაზღვროთ ამ საკითხთან დაკავშირებით რა პოზიციაზეა საქართველო, რომელ ცივილიზაციას მივაკუთვნებთ თავს. ვინაიდან საქართველომ უკვე გააკეთა მტკიცე არჩევანი იყოს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი, მნიშვნელოვანია, რომ გამარჯვების დღის აღნიშვნა მოხდეს ევროპის ქვეყნებთან ერთად 8 მაისს. პარტიის მიერ ოპოზიციურ კოლეგებთან ერთად შემუშავებული პროექტით არათუ არ უარვყოფთ, არამედ, პირიქით, ხაზს ვუსვამთ ქართველი ხალხის ფაშიზმზე გამარჯვებაში შეტანილ წვლილს. ასევე აღვნიშნავთ, რომ ომის მონაწილეები წლების მანძილზე გამარჯვებას ზეიმობდნენ საბჭოთა იმპერიის მიერ თავს მოხვეულ 9 მაისს.

უფრო მეტიც, ამ ინიციატივის მიზანია ქართველი ვეტერანებისა და ქართული სახელმწიფოს როლის გამოკვეთა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა ის არ ჩაიკარგოს და არ გახდეს ე.წ. „უკვდავი პოლკის“ რუსული ნაციონალისტური იდეის ნაწილი, რომლის პროპაგანდირებასაც დღემდე დაჟინებით ცდილობს პუტინის რუსეთი. ამ ინიციატივით ჩვენ უარს ვამბობთ საბჭოთა წარსულზე და არა იმ დამსახურებაზე, რაც ჩვენმა მოქალაქეებმა შეიტანეს ფაშიზმზე გამარჯვებაში.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტის დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმით. აქედან გამომდინარე, ჩვენი სახელმწიფო არა 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ შექმნილი საბჭოთა საქართველოს, არამედ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური და იდეოლოგიური მემკვიდრეა. აღნიშნული ინიციატივით გვინდა კიდევ ერთხელ ვუთხრათ არა, რუსულ გავლენებს საქართველოში და კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ ჩვენი ევროპულ ოჯახში სრულფასოვანი ინტეგრაციისკენ. 8 მაისს აღნიშნავენ: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, კანადა, ჩეხეთი, სლოვაკეთი. 9 მაისს კი: რუსეთი, ბელორუსია, მონღოლეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა.“ - აღნიშნულია პეტიციაში.

რა სიმბოლური დაბეჭირთვა ჰქონდა საბჭოთა კავშირისთვის 9 მაისს და რისთვის იყენებს დღეს მას რუსეთი?

ონლაინ გამოცემა ნეტგაზეთთან საუბრისას, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი და ისტორიკოსი ირაკლი ხვადაგიანი ამბობს, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 20 წლის განმავლობაში, ეს თარიღი პომპეზურად არ აღინიშნებოდა. „1965 წლიდან ეს თარიღი უფრო და უფრო ჩნდება აგიტაციაპროპაგანდის მთავარ იარაღად. ეს დღემდე ინერციით გრძელდება. პოსტსაბჭოთა ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის არანაირ დისკომფორტს არ ქმნიდა ამ დღის აღნიშვნა 9 მაისს და არა 8 მაისს, მაშინ როცა დასავლეთი და მთელი მსოფლიო ევროპაში გამარჯვებას ზეიმობს ამ დღეს“, — ამბობს ირაკლი ხვადაგიანი.

მკვლევრებისა და ისტორიკოსების ნაწილი აღნიშნავს, რომ 9 მაისი იყო საბჭოთა სახელმწიფოს იდენტობის სიმბოლო, როგორც თარიღი და დღეს არის პუტინის რუსეთის იდენტობის სიმბოლო, როცა ის თავის აღლუმებზე იწვევს სხვადასხვა ქვეყნის პირველ პირებს და აჩვენებს თავის „სამხედრო სიძლიერეს“. ისინი სვამენ კითხვას, თუ რა გვინდა ჩვენ, ვიყოთ საბჭოთა და შემდგომ რუსეთის იდენტობის სიმბოლოს ნაწილი თუ ვიყოთ დასავლურ, ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად და ეს თარიღი აღვნიშნოთ 8 მაისს. მათი თქმით, არჩევანი ძალიან მარტივია. თუმცა ისტორიკოსებშიც აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ჩვენთვის, როგორც საზოგადოებისთვის, ყველაზე ღირებული თარიღში უნდა იყოს არა პოლიტიკა, არამედ ადამიანები. „მანამდე სანამ ერთი ომის ვეტერანი მაინც არის ცოცხალი, ვფიქრობ, რომ ეს დღე მაინც 9 მაისს უნდა აღვნიშნოთ. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ისინი, მაგრამ მომავალში, ეს თარიღი უნდა შეიცვალოს და გადმოვიდეს 8 მაისს. მაგრამ არა მათ სიცოცხლეში,“ — ამბობს ნეტგაზეთთან საუბარში ისტორიკოსი ბექა კობახიძე.

ისტორიკოსი და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი დავით ჯიშკარიანი კი ფიქრობს, რომ თარიღი ისე უნდა დარჩეს როგორც არის, რადგან ის ომის ვეტერანების პირადი ისტორიის ნაწილია. „ჩვენი თაობისთვის მნიშვნელობა არ აქვს 8-ში იზეიმეს გამარჯვება თუ 9-ში. ჩვენ ეს თარიღი არ გვახსოვს. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ამ შემთხვევაში ჩვენს წინაპრებს, ვინც 9 მაისს აღნიშნავდნენ მთელი ცხოვრება. ეს მათთვის არის მნიშვნელოვანი, მათი ცხოვრების ტრავმა თუ მიღწევაა“, - ამბობს ის რადიო თავისუფლებასთან საუბარში. ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის განმავლობაში ამ თარიღის აღნიშვნა მაინც არ არის გავლენებისგან დაცლილი და რომ თარიღის ცვლილებაზე მეტად ესაა საყურადღებო. „საქართველომ ვერ შეძლო საკუთარი მეხსიერების პოლიტიკის წარმოება და უნევს სანახევროდ ევროპული მეხსიერების პოლიტიკის გაზიარება და მეორე მხრივ რუსეთიდან მომავალი აგრესიული მეხსიერების პოლიტიკის გამკლავება. გვჭირდება ჩვენი საკუთარი პოლიტიკა, ანუ შენი ვეტერანები შენვე უნდა დააფასო და ის არ უნდა გახდეს რუსეთის უკვდავი პოლკის ნაციონალური იდეის ნაწილი“, - ამბობს დავით ჯიშკარიანი.

რა არის „უკვდავი პოლკი“?

„უკვდავი პოლკის“ მარშის იდეა, სადაც ადამიანები მეორე მსოფლიო ომში მონაწილე წინაპრების ფოტოებით გამოდიან, სამ რუს მეგობარს ეკუთვნის. პირველი მარში 2012 წელს გაიმართა და იდეამ სწრაფად მოიცვა მთელი რუსეთი, რის შემდეგაც 2014 წელს მარშს კრემლი დაეპატრონა, იდეის ავტორები განდევნა და უცხო ქვეყნის აგენტებად გამოაცხადა. შემთხვევითი არაა, რომ „უკვდავი პოლკის“ მარშის სიმბოლოდ წმინდა გიორგის ლენტი შეირჩა, რომელიც 2005 წლიდან საყოველთაოდ გამოიყენება რუსეთის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ გამარჯვების აღლუმებზე და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში კრემლის ექსპანსიისა და ჩარევის სიმბოლოდ მიიჩნევა. მოგვიანებით წმ. გიორგის ლენტი გახდა სიმბოლო უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და „ნოვოროსიას“ ანუ „ახალი რუსეთის“ კონცეფციის. „უკვდავი პოლკი“ მსვლელობებს საქართველოში 2017 წლიდან მართავს. იუსტიციის სამინისტროს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრმა ოფიციალურად დაარეგისტრირა „პატრიოტული საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოს უკვდავი პოლკი“. მედიის განვითარების ფონდმა მოამზადა ფილმი, სადაც საუბარია, თუ როგორ იყენებს „უკვდავი პოლკს“ და მის მსვლელობებს კრემლი საკუთარი ისტორიული პოლიტიკის საწარმოებლად.

ლატვიამ 9 მაისი უკრაინაში დაღუპულთა ხსოვნის დღედ გამოაცხადა. ამ დღეს ქვეყანაში „გამარჯვების დღის“ აღნიშვნა აიკრძალება და ის გლოვის დღედ გადაიქცევა. 8-9 მაისს ქვეყანაში არ გაიმართება სადღესასწაულო და გასართობი ღონისძიებები. ასევე, ამ დღეებში აკრძალული იქნება ფეირვერკები. 19 აპრილს უკრაინის უმაღლეს რადაში დარეგისტრირდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელშიც საუბარია 9 მაისის ნაცვლად 8 მაისის აღნიშვნაზე, როგორც ნაციზმზე გამარჯვების დღეზე. ექსპერტი გია ხუხაშვილი რუსეთ-უკრაინის ომის მოსალოდნელ შედეგებს ფაშიზმზე გამარჯვებს დღეს უკავშირებს და თავის პროგნოზს წერს:

„9 მაისი არის ამ ომის მთავარი წყალგამყოფი. ეს დღე არის რუსეთის მთავარი იდეოლოგიური საყრდენი, რომლის ზეიმიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თუნდაც ახალი წლის. თუ მათ ამ დღისთვის ვერ შეძლეს თუნდაც ფსევდო, შუალედური, მაგრამ მნიშვნელოვანი წარმატების გამოცხადება და შესაბამისად ჩაეშალათ „ფაშიზმზე“ გამარჯვების აღლუმი, ეს იქნება იმის პირდაპირი სიმპტომი, რომ ომს წააგებენ. ამიტომ, 9 მაისამდე პერიოდი იქნება ომის გადამწყვეტი ეტაპი“, — წერს გია ხუხაშვილი.

რუსეთი ისტორიას რომ საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებს, ამაზე საუბარია 2019 წლის სექტემბერში ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაშიც, რომელიც რუსეთს საბჭოთა კავშირის დანაშაულებების „გათეთრებაში“ ადანაშაულებს და წევრ სახელმწიფოებს სკოლის სახელმძღვანელოებში ტოტალიტარული რეჟიმების შედეგების ანალიზზე ყურადღების გამახვილებას სთხოვს. რეზოლუცია ამბობს, რომ ევროპის ტრაგიკული წარსული მორალური და პოლიტიკური ინსპირატორი უნდა გახდეს ქვეყნებისთვის, რათა დღევანდელი მსოფლიოს გამოწვევებს უკეთ გაუმკლავდნენ. ისტორიაც გაკვეთილია.

საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის მიზანია ისეთი გზამკვლევის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, მიღებული შემოსავლების გაზრდასა და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას. საქართველოს მთავრობის ამოცანაა შემუშავდეს და განხორციელდეს გეგმა, რომელიც მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად და უნიკალური შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობად აქცევს. სტრატეგია მოიზიდავს უფრო მაღალგადახდისუნარიან ტურისტებს ევროკავშირის ქვეყნებიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან.

სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგიის შემუშავების პროცესი, მსოფლიო ბანკის ჩართულობით, ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. დოკუმენტის მომზადებისას გაიმართა კონსულტაციები ორგანიზაციებისა და სპეციალისტების ფართო სპექტრთან, რომელთა შორის იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების წარმომადგენლები, ტურ-ოპერატორები, სატრანსპორტო სფეროს წარმომადგენლები, ინვესტორები, დაცულ ტერიტორიებსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი უწყებები, წარმომადგენლები განთავსების ობიექტებიდან და სხვა დაინტერესებული მხარეები. ტურიზმის განვითარების მთავარი გამოწვევების იდენტიფიცირების, იდეების გენერირებისა/დამუშავებისა და მათი განხორციელების პრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნით გაიმართა მრავალი კონსულტაცია სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები დარგის დამოუკიდებელ ექსპერტებთან. სტრატეგია მომზადებულია სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, მსოფლიო ბანკისა და სხვა წყაროებიდან მიღებული კვლევებისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ შემუშავდა ორ ეტაპად. პირველ სამუშაო დოკუმენტში მოცემულია დეტალური სიტუაციური ანალიზის შედეგები, მათ შორის, ტურიზმის მნიშვნელობის ზრდისა და ინვესტიციებიდან მაქსიმალური ამონაგების მიღების ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორები და შესაძლებლობები, ასევე მათი შესწავლა და ანალიზი. მეორე ეტაპზე მომზადდა სტრატეგიის დოკუმენტი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით. სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს სამოქმედო გეგმა, რომელიც ასევე განსაზღვრავს სხვადასხვა აქტივობაზე პასუხისმგებელ უწყებებს, განხორციელების ვადებს, მიზნობრივ მაჩვენებლებს, საჭირო დაფინანსების წყაროებსა და შედეგების საზომ ინდიკატორებს.

ტურიზმის ადგილობრივი და მსოფლიო ტენდენციები

2009 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში: საერთაშორისო მოგზაურების მთლიანი რაოდენობა 293%-ით გაიზარდა და გადააჭარბა 5.9 მილიონს (2009 წ: 1.5 მლნ). ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ოდნავ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა 476 მილიონი აშშ დოლარიდან 1.9 მილიარდ აშშ დოლარამდე. მაჩვენებლები მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ გასული ექვსი წლის მანძილზე ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხა მცირედით გაიზარდა, თუმცა გლობალურ საშუალო მაჩვენებელს ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ხარჯვის დაბალი ნიშნული ძირითადად ვიზიტორების წარმომავლობით არის განპირობებული. მათი დაახლოებით 88% მეზობელი ქვეყნებიდანაა და 85% სახმელეთო ტრანსპორტით შემოდის საქართველოში. საჰაერო ტრანსპორტით ვიზიტორების მხოლოდ 13% სტუმრობს ქვეყანას.

ტურიზმის განვითარების გამოწვევები და შესაძლებლობები

დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია მოგზაურთათვის მაღალი ხარისხის, მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტისა და საუკეთესო შთაბეჭდილების შეთავაზება, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებს ყურადღების გამახვილებას შემდეგ ასპექტებზე:

საქართველოს მდიდარი და უნიკალური კულტურა (მუსიკა, ცეკვა, ხელოვნება, ისტორია, რელიგია, საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე, რომელთა შორის, სამი შესულია UNESCO-ს „მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში“, ხოლო ორი — „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში“);

მეღვინეობის ტრადიციები და ისტორია - „ღვინის სამშობლოს“ სტატუსი; 87 დაცული ტერიტორია, მათ შორის, 11 ეროვნული პარკი, რომლებიც ქვეყნის ფართობის 8.62% წარმოადგენს. ხსენებული შესაძლებელს ხდის მსოფლიო დონის ეკო, სათხილამურო, ველო, სამთო, სათავგადასავლო, გამაჯანსაღებელი და სხვა სახის ტურიზმის განვითარებას;

კარგი კლიმატური პირობები;

მიმზიდველი ბიზნეს და საინვესტიციო გარემო;

ქართველი ხალხის მეგობრული განწყობა და სტუმართმოყვარეობა.

მსოფლიო დონის ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად და როგორც საერთაშორისო ისე შიდა მოთხოვნის სტიმულირების მიზნით ქვეყანამ შემდეგი გამოწვევები უნდა დაძლიოს:

სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით; მნიშვნელოვანი ტურისტული ბაზრებიდან მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი საჰაერო მიმოსვლის უზრუნველყოფა;

ქვეყნის ყველაზე შთამბეჭდავ ტურისტულ ადგილებამდე მისასვლელი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოდერნიზაცია;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სხვა კულტურული მნიშვნელობის აქტივების შენარჩუნება, მათი მისაწვდომობის, არსებული მომსახურებებისა და საინტერპრეტაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდა, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზარზე;

ქვეყნის მასშტაბით მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება ვიზიტორებისათვის, განსაკუთრებით, ქალაქებს გარეთ, სადაც ტურიზმის განვითარების პოტენციალი ყველაზე მაღალია;

ტურიზმის სფეროში განათლების სისტემის დახვეწა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა ქვეყნის მასშტაბით;

ახალი ტურისტული პროდუქტის შეთავაზება და არსებულის დივერსიფიკაცია;

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის, ბაზრის კვლევისა და მარკეტინგული შესაძლებლობების გაუმჯობესება.

რას უნდა მიაღწიოს ქვეყანამ 2025 წლისთვის?

2025 წლისთვის საქართველო ცნობილი იქნება, როგორც მოწინავე, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული ქვეყანა, გამორჩეული თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო დონის მომსახურებითა და სტუმარმასპინძლობის უძველესი ტრადიციით. ინფრასტრუქტურაში განხორციელებული სტრატეგიული ინვესტიციების, განათლების უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და მსოფლიოს მასშტაბით მაღალგადახდისუნარიანი ტურისტებისათვის უნიკალური ქართული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით, საქართველო ტურიზმის დარგში არსებული კონკურენციის მოწინავე რიგებში წარმოჩინდება. ვიზიტორების მიერ დახარჯული თანხის გაზრდის შედეგად ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვნად მოიმატებს. მეტი ყურადღება დაეთმობა ვიზიტორთა ხარისხსა და მრავალფეროვნებას, ვიდრე ვიზიტორთა რაოდენობას.

მიზნები

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად განისაზღვრა შემდეგი მიზნები:

მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ბაზრებიდან საჰაერო მგზავრობის გამარტივება. ასევე, შიდა სატრანსპორტო ქსელების გაუმჯობესება, ქვეყანაში ვიზიტორთა ნაკადების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფისათვის;

ქვეყნის კულტურული და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებით ვიზიტორებისთვის უნიკალური და ამაღლებული შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობის შექმნა, რაზეც მზარდი მოთხოვნაა მსოფლიოს ყველაზე მაღალგადახდისუნარიან ტურისტულ ბაზრებზე;

ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესება (ტრანსპორტირების, განთავსების საშუალებებისა და უცხო ენის ფლობის თვალსაზრისით), რათა ქვეყნის შესახებ მიზნობრივი მარკეტინგული აქტივობების შედეგად ჩამოყალიბებული წარმოდგენა გამართლდეს, ხოლო, ჩამოსულმა ვიზიტორებმა პოზიტიური გზავნილები გავრცელონ საქართველოზე და განმეორებით ესტუმრონ ქვეყანას;

მონაცემთა შეგროვებისა და ბაზრის კვლევის შესაძლებლობების გაუმჯობესება, უფრო მეტად მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ბაზრების მოთხოვნებისა და თავისებურებების უკეთ შესწავლის მიზნით;

ხსენებული კვლევებისა და დამატები\თი მარკეტინგული რესურსების გამოყენება მაღალგადახდისუნარიანი ბაზრების უფრო ეფექტურად ასათვისებლად, მათთან დასაკავშირებლად და საქართველოს, როგორც მსოფლიო დონის ტურისტული დანიშნულების ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად.

გეგმები

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ში დასახული განვითარების გეგმები შემდეგია:

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა არსებული დონიდან (1.9 მილიარდი აშშ დოლარი) 6.6 მილიარდ აშშ დოლარამდე;

დარგის მიერ მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი პირდაპირი წილი უნდა შეადგენდეს 7.9%-ს;

ყოველი ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხის გაზრდა არსებული 328 აშშ დოლარიდან 600 აშშ დოლარამდე;

ტურიზმში დასაქმებული პირების რაოდენობის გაზრდა დაახლოებით 90%-ით, არსებული 158,515-დან 301,284-მდე;

ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა არსებული 5 დღიდან 7 დღემდე;

ტურიზმის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 63%-ით გაზრდა, არსებული 723 მილიონი აშშ დოლარიდან 1,178 მილიონ აშშ დოლარამდე;

დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან ვიზიტორთა რაოდენობის გაორმაგება;

როგორ მიაღწიოს ქვეყანამ დასახულ მიზნებს?

სახელმწიფო, კერძო, არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების შედეგად განისაზღვრა სტრატეგიის განსახორციელებლად შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები:

კერძო სექტორის წამყვანი როლი - ტურიზმი უნდა განვითარდეს საბაზრო ტენდენციებზე დაყრდნობით, ინდუსტრიის თაოსნობით, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით.

სახელმწიფოს სრული ჩართულობა - ტურიზმის სფეროს წარმატებული განვითარება საჭიროებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ჩართულობას, მათ შორის, საიმიგრაციო, განათლების, ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებისა და სხვა უწყებების კოორდინაციას.

ბაზრების პრიორიტეტულობის განსაზღვრა - საქართველოს ტურიზმის განვითარებისა და მარკეტინგის სტრატეგია უნდა იყოს ორიენტირებული ისეთი მიზნობრივი ბაზრების დაინტერესებასა და მომსახურებაზე, რომლებიც ჩადებული ინვესტიციიდან ყველაზე მეტ ამონაგებს მოიტანენ.

მდგრადობა - განვითარების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს „ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების“ (National Geographic Society) - „გეოტურიზმის“ კონცეფცია. „გეო-ტურიზმი“ მოგზაურობის სახეობაა, რომელიც ორიენტირებულია დანიშნულების ადგილის გეოგრაფიული თავისებურების შენარჩუნებასა და დაცვაზე, მათ შორის, გარემოს, ესთეტიკის, კულტურული მემკვიდრეობისა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშეწყობაზე.

საქართველოს სტუმართმოყვარეობის კულტურის განვრცობა მომსახურების სფეროზე - საქართველოს სტუმართმოყვარეობის კულტურა მომსახურების სფეროზე უნდა განივრცოს ტრენინგების, განათლების ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ტურიზმის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით.

სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება

საქართველოს ტურიზმის სტრატეგია ათწლიანია, საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას და განახლებას დასახული მიზნების განსახორციელებლად. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განახლდება მიზნობრივი ბაზრების მოთხოვნისა და თავისებურებების გათვალისწინებით, ასევე, ის მოერგება საბაზრო პირობების ცვლილებებს და დაიხვეწება ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მიღწეული შედეგების შესაბამისად. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას მონიტორინგს უწევს სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას პასუხისმგებელი უწყებები წარუდგენენ ინფორმაციას სტრატეგიის საშუალოვადიანი (ორწლიანი) სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწეული შუალედური შედეგების შესახებ. საშუალოვადიანი (ორწლიანი) გეგმის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა ადმინისტრაციას წარედგინება სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო, შემაჯამებელი ანგარიში. პასუხისმგებელი უწყებები გამოყოფენ შესაბამის პასუხისმგებელ პირს - უწყების ხელმძღვანელის მოადგილეს, რომელიც სრულად ინფორმირებული იქნება სტრატეგიის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების შესახებ, ადმინისტრაციას მიაწვდის სათანადო ინფორმაციას და ჩაერთვება სამუშაო განხილვებსა და დისკუსიებში. მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე ადმინისტრაცია საშუალოვადიანი (ორწლიანი) სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პერიოდის გასვლიდან 3 თვის ვადაში ადგენს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებებს სსიპ – საქართველოს ეროვნული ადმინისტრაცია საბოლოოდ შეაფასებს, სტრატეგიის სამოქმედო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა და წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ეროვნული სტრატეგიის საფუძველზე, სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია რეგულარულად იმუშავებს შესაბამისს სამთავრობო უწყებებთან და მუნიციპალიტეტების ხელისუფლებასთან, საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა დოკუმენტის ტურიზმის სტრატეგიასთან ჰარმონიზაციის მიზნით.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ომის ფსიქოლოგია და ემოციური ბალანსი

ბრძოლა ან გაქცევა!

განსაკუთრებულ ეპოქაში მოგვიწია ცხოვრება, ჯერ პანდემია არ დასრულებულა და მესამე მსოფლიო ომის საშიშროების წინაშე აღმოვჩნდით. როგორ ვმართოთ შიში? რა არის ომის ფსიქოლოგია? რა ხერხებით შეიძლება დავიბრუნოთ ემოციური ბალანსი?

ფსიქოლოგი ქეთევან ჭარელაშვილი:

-ირგვლივ არსებული მდგომარეობა, ფაქტობრივად, ყველა ჩვენგანზე ახდენს გავლენას. ერთი, რომ გვაქვს მართლაც რეალისტური შიში, ომის შიში, და მეორე, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ჩვენს მდგომარეობას, არის მომავლის შიში. ანუ ჩვენ გვეშინია იმისაც, რაც რეალურად, აქ და ამჟამად არ არსებობს. შიში - ემოციაა, რომელიც ყველა ადამიანშია ჩადებული, როგორც დაცვითი მექანიზმი. „ბრძოლა ან გაქცევა“ - ეს არის ტვინის ავტომატური პასუხი საფრთხის შეგრძნებაზე. ზოგჯერ ჩვენი შიშები დაკავშირებულია არა ფიზიკურ საფრთხესთან, არამედ საფრთხის მოახლოების მხოლოდ შეგრძნებასთან, რომელიც არსებობს სადღაც შორს. შიში ადამიანს ეუფლება მისი წარმოსახვის მრავალფეროვანების გამო, თუმცა, ხშირად, რისიც გვეშინია, იმის 90 პროცენტიც კი არ ხდება...ჩვენი ფსიქიკა, როდესაც დასურათებული წარმოსახვის მეშვეობით წარმოიდგენს რაიმე საშიშს, ამ დროს ადამიანი საშინელებათა ფილმს აყურებინებს საკუთარ თავს მისივე გადაწყვეტილებით.

არის თუ არა შიშებს შორის განახვავება? რა არის ადამიანის მთავარი შიში?

-ადამიანის მთავარი შიში არის სიკვდილის შიში, ესაა საფუძველი ყველა შიშისა, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, არის რეალური და არარეალური შიში. არარეალურ შიშის სათავე არის წარმოსახვითი, დამახინჯებული აზროვნება. მაგალითად, ცვლილების, გადაწყვეტილების მიღების, პასუხისმგებლობის აღების, შიში გადახვიდე ცხოვრების ახალ ეტაპზე, დისკომფორტის, რისკის შიში, ფრენის შიში, ამ შიშის რეალურად დადგომის შედეგების წარმოადგენა... ისინი არაადაპტაციური შიშებია, რომელშიც რეალური საფრთხე ნამდვილად არ არსებობს. ხშირ შემთხვევაში, ამ ტიპის შიში შეიძლება გადაიქცეს ფობიად, რაც საბოლოოდ ხელს უშლის ჩვენი ცხოვრების ხარისხს.

რეალური შიში გულისხმობს შიშის ტიპს, რომელიც აგებულია რეალური კომპონენტებისგან. ომის დროს ბომბის დაცემის, ან ცეცხლსასროლი იარაღით ლიკვიდაციის შიში, ეს არის ფიზიოლოგიური და ემოციური გააქტიურების რეალური საფრთხე. ამ დროს აქტიურდება და მობილიზდება ადამიანის აზროვნება, ფიზიოლოგია, ფსიქიკა, რა დროსაც ადამიანი მაქსიმალურად ორიენტირებულია სიცოცხლის და ჯანმრთელობის გადარჩენაზე, ეს გვაიძულებს დაუყოვნებლივ ავირიდოთ საფრთხე.

როგორ გავმიჯნოთ ერთმანეთისგან სხვადასხვა ტიპის შიში?

-ომის დროს, უპირველესად, მთავარია გავაცნობიეროთ ეს ემოცია და დავარქვათ სახელი, რომ გვეშინია. ეს რაციონალურია, ეს არის ფსიქიკის ბუნებრივი რეაქცია არსებულ ვითარებაზე, ძლიერ სტრესზე, ძლიერი სტიმული და ძლიერი რეაქცია. როდესაც დიდია შიში და არის ამის საშუალება, უნდა დაწეროთ ამ განცდების და ემოციების შესახებ, თუ რისი გვეშინია კონკრეტულად, რას ვგრძნობთ, ახლა რა ხდება ჩვენს გარშემო. დაწერის დროს ხდება კონცენტრაცია, დაგეგმვა და სტრატეგია, რომ ემოციურმა დისბალანსმა არ გამოიწვიოს დაბნეულობა კონკრეტული რთული ვითარების დროს. რეალური და არარეალური შიში არ აგვერიოს ერთმანეთში. უეცარი მძაფრი საფრთხე გვაკარგინებს ადამიანებს კონცენტრაციის, გაანალიზების, გონივრული ქმედების უნარს. წერის მეშვეობით, შენ აბრუნებ თავს აქ და ამჟამად და ხდები უფრო კონცენტრირებული, წვრთნი შენს ემოციურ ბალანსს და ამზადებ კონკრეტული გამოწვევების დასაძლევად.

რა არის ომის ფსიქოლოგია?

-ომის დროს ადამიანი ხდება დეზორიენტირებული, ემოციური...ფრთხილად უნდა ვიყოთ, ჩვენი მძაფრი ემოციებით არ დავთრგუნოთ გარშემომყოფებიც.ასეთ დროს ვირუსულად გადამდებია ნეგატიური ემოციები, პანიკა ეუფლება საზოგადოებას, ამიტომ ფრთხილად და პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ამ საკითხს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გავუზიაროთ სხვებს ჩვენი განცდები და არ ვესაუბროთ ამაზე ერთმანეთს კონსტრუქციულად და ზომიერად. მთავარია არ მოგვიცვას პანიკამ და ვაკონტროლოთ ემოციები, იმიტომ რომ ეს არის ადამიანის და მოქალაქის პასუხისმგებლობა და ეს უნდა გააცნობიეროს თითოეულმა პიროვნებამ. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით რომ **საფრთხეზე ადამიანს აქვს სამი რეაქცია: 1 - თავდაცვა; 2 - აგრესია; 3 - გაშეშება.**

რადგან ომი რეალისტური შიშია, ამ დროს ადამიანში იმატებს აგრესია და ეს შეიძლება იყოს თქვენი გადარჩენის წყაროც, რომ არ დარჩეთ მოტყუებული ინტუიციურად, მკაფიოდ ვიგრძნოთ საფრთხის მოახლოება. თუმცა აქ ძალიან მნიშვნელოვანია არ დავკარგოთ ადამიანურობა და დავრჩეთ ბოლომდე ადამიანებად. ყველას გვაქვს ჩვენ-ჩვენი პასუხისმგებლობა. მნიშვნელოვანია ვიყოთ გააზრებული, მოწესრიებული, კონსტრუქციული, ვაკონტროლოთ ემოციები. მით უფრო, რომ ჩვენს ირგვლივ არიან ბავშვები, რომლებიც ისედაც ძალიან სენსიუტიურები (მგრძნობიარენი) არიან.



რა ხერხებით შეიძლება დავიბრუნოთ ემოციური ბალანსი?

-ვაკეთოთ დღიური რუტინა, რასაც აქამდე ვაკეთებდით და ვიზრუნოთ ჩვენს სხეულზე, ოჯახურ პასუხისმგებლობაზე და ემოციურ ბალანსზე. დავეხმაროთ სხვებს, ეს მათაც და ჩვენც შეგვიმსუბუქებს ემოციურ ტვირთს და შვებას ვიგრძნობთ. ჩვენი მოქმედების არეალი ვერ მოიცავს მთელი მტრის ბატალიონის განადგურებას, ომის დასრულება ჩვენ არ შეგვიძლია, მტრის დესტრუქციული ცნობიერების გადაკეთებას ვერ მოვახერხებთ, ვერც მათ ქმედებაზე მოვახდენთ გავლენას, ამიტომ ჩვენს გარშემო რაც გასაკეთებელია, რაც ჩვენი პასუხისმგებლობაა და გვევალება, ის უნდა ვაკეთოთ. საკონცენტრაციო ბანაკებშიც კი ხალხი ახერხებდა ცხოვრებას, თუ გავიხსენებთ რობერტო ბენინის გენიალურ ფილმს **„ცხოვრება მშვენიერია“**. მსოფლიო ომის დროს, იტალიაში, საკონცენტრაციო ბანაკში აგზავნიან ებრაელ მამა-შვილს. ფილმში ნაჩვენებია, როგორ დაიცავს მამა პატარა შვილს სასტიკი ომის რეალობისგან. ის მთელ თავის წარმოსახვის უნარს იყენებს იმისათვის, რათა დაიცვას საყვარელი ადამიანები. ბანაკში მამა ეუბნება შვილს, რომ ყველაფერი ეს დიდი თამაშია და მთავარი პრიზი შეხვდება იმ ბიჭს, რომელიც შეძლებს და თვალში არ მოხვდება ზედამხედველებს. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა ბიჭუნას დაეჯერებინა მისი ამბავი და ცოცხალი გადარჩენილიყო და ამით გადაერჩინა არა მხოლოდ მისი სიცოცხლე, არამედ მისი ფსიქიკაც.

როგორ დავიცვათ ბავშვები ასეთ დროს?

-ომის დროს ბავშვების მიმართ უნდა გამოვიჩინოთ უზარმაზარი პასუხისმგებლობა. მათ თამაშით უნდა ვასწავლოთ დისციპლინა, თუ როგორ ვიქცევით ექსტრემალურ სიტუაციაში, ვასწავლოთ თავდაცვა... მაგალითად: ახლა ვითამაშებთ ასეთ თამაშს, მე მოგცემ დავალებას მერე შენ მომცემ დავალებას და ორივე შევასრულებთ ამ დავალებას. ვინც არ შეასრულებს ის წააგებს; შენ როცა გეტყვი აიღებ შენს ზურგჩანთას ხელს ჩამკიდებ და გავირბენთ, სირბილის დროს, თუ აგიჩქარდა გული, წარმოიდგინე, რომ ხელში გიჭირავს ძალიან სურნელოვანი ყვავილი და ღრმად ჩაისუნთქავ მის სუნელს.

ამით ბავშვებს დავიცავთ გადამეტებული სტრესისგან, რაც ამ დროს მოსალოდნელია. ექსტრემალურ სიტუაციაში ყველაზე რთულია სუნთქვის კონტროლი, გული გვიჩქარდება, ტვინს არ მიეწოდება ჟანგბადი, გამოიყოფა კორტიზოლი და დიდი ალბათობაა დავკარგოთ გონივრული აზროვნების უნარი, ასეთ დროს მნიშვნელოვანია ვაკონტროლოთ სუნთქვა, რომ სხეულს და ტვინს მივცეთ იმის შესაძლებლობა, რომ გადაგვარჩინოს და იაზროვნოს ჩვენს უსაფრთხოებაზე.

რა როლს თამშობს სოციალური ქსელები ომის დროს?

-ჩვენ ასევე ვართ ინფორმაციულ ომში ამიტომ აუცილებელია გავფილტროთ ჩვენი საინფორმაციო ველი თუ გვინდა რომ შევინარჩუნოთ ემოციური ბალანსი, სტაბილურობა. გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი მტერი 21-ე საუკუნეში ჩვენ გვიტევს სოციალური ქსელიდან და რაც უფრო ჩართული და მიჯაჭვული ვართ ამ ინფორმაციას, მით უფრო გვამარცხებს ის. ამიტომ საჭიროა ბალანსი, ინფორმაციის გაფილტვრა და მკაცრად განსაზღვრული დრო ინფორმაციის მიღების კუთხით.

ომის დამანგრეველ ძალას თან სდევს ფსიქოლოგიის ნგრევაც. ომის საშინელებათა სურათები ღრმად იდგამს ფესვებს ადამიანის ქვეცნობიერში. ომისგან მიყენებული ფსიქოლოგიური ტრავმა ძნელად დასავიწყებელი და მოსაშუშებელია. ამიტომ, უფრო მეტად საშიშად ჟღერს დღევანდელი რეალობის - მესამე მსოფლიო და ატომური ომის დაწყების საფრთხე. სწორედ ამიტომ, მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობა ვუსურვოთ მსოფლიოს. ამის პარალელურად კი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინფორმაციის ქონა ყოველთვის მნიშვნელოვანი და საჭირო იარაღია, თუნდაც, პიროვნული მოქალაქეობრივი და სამოქალაქო აქტივიზმის პასუხისმგებლობის არსებობის თვალსაზრისით.

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

სააღდგომო ეპისტოლე



საღდგომო ეპისტოლე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ისა.

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, „გაუწყებთ თქვენ... საუკუნო სიცოცხლეს, რომელიც მამასთან იყო და ჩვენ გამოგვეცხადა“ (1 ინ. 1,2). აღსრულდა სამოთხეში ადამისა და ევასთვის მიცემული პირობა უფლისა! სიკვდილი იძლია!

ქრისტე აღსდგა!

საკვრელი ბნელეთისა დარღვეულია და მართალთა სულნი - გამოხსნილნი!

ზეიმობს წიაღი აბრაამისა; ძეს თვისას, ყოველთა მეუფეს, შეჰხარის წინასწარმეტყველი დავითი, იშვებს ქალწული და ყოველნი ზეციურნი ძალნი!

შემოდის დღე ძლევამოსილი და დიადი, დღე სიკვდილის დამთრგუნველი და ათასწლეულების წყევლის განმაქარვებელი.

ეშმაკი მოტყუვდა, როდესაც ჩვეულებრივი ადამიანის მსგავსად მიიღო თავის წიაღში კაცობრივი სულის მქონე უფალი,- ყოვლად უცოდველი, სრული სიყვარული, სიკეთე, სიბრძნე და ჭეშმარიტება, რომელმაც ჯოჯოხეთში შთასვლით შემუსრა ბოროტების, ღვარძლისა და სიცრუის სამეფო.

ქრისტე აღსდგა!

„სადა არს, სიკვდილო, ნესტარი შენი, სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?!“ (1 კორინ. 35.55)

მკვდრეთით აღმდგარი და გამარჯვებული იესო გვიხმობს და ყველას უშურველად გვანიჭებს უდიდეს საბოძვარს, - საუფლო დიდებასთან თანაზიარებას, გვანიჭებს მარადიულ სიცოცხლეს და მასთან მყოფობას.

ქრისტე მკვდრეთით აღსდგა იმგვარი უხრწნელი სხეულით, ადამს რომ ჰქონდა სამოთხეში და ჩვენც, მეორედ მოსვლის შემდეგ, ამ სულიერი სხეულით შემოსვის შესაძლებლობა მოგვცა.

ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რადგან ხრწნილება, რაც პირველმშობელთა შეცოდების შედეგად ჩვენი დაცემული ბუნების თვისება გახდა, ვერ დაიმკვიდრებდა უკვდავებას.

ქრისტესთან ნათლობით დაკავშირებულნი და მისი მცნებისამებრ მცხოვრებნი ყოველნი, ნეტარ უკვდავებასთან თანაზიარნი ხდებიან მასთან ერთობით, რომელიც თავად არის სიცოცხლე და სიცოცხლის მომნიჭებელი. ამიტომაც წერს მოციქული: „როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე სიცოცხლეს იძენენ ქრისტეში“ (1 კორინ. 15,22); „ღმერთმა მოგვცა საუკუნო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია“ (1 ინ. 5,11).

***

ჩვენთვის რომ გადარჩენის ერთადერთი გზა მოეპოვებინა, მაცხოვარმა უდიდესი დამცირება, ცილისწამება და ტანჯვა დაითმინა და საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებით გამოგვიხსნა ჯოჯოხეთის ტყვეობისგან.

მართალია, ქრისტეს აღდგომით ბოროტება შეიმუსრა, მაგრამ განწმენდისა და ცოდვის ბინისაგან გათავისუფლების პროცესი სულიერი ღვაწლითა და მრავალი განსაცდელის ღირსეულად დათმენით ყველამ პიროვნულადაც უნდა აღვასრულოთ, - უნდა ძალისამებრ ჩვენისა განვაახლოთ შემოქმედის ხატება და მსგავსება ჩვენში (ანუ შინაგანად შევძლოთ აღდგენა იმისა, როგორადაც შეგვქმნა უფალმა), რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ბრძოლას ჩვენს ეგოისტურ აზროვნებასთან და ვნებებთან.

ეს არის გარდაუვალი ომი საკუთარ თავთან, რაც აუცილებლად მოუწევს ყველას, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს.

ამ ომში გამარჯვება წარმოუდგენელია ღვთის შემწეობის გარეშე, სიკვდილის დამთრგუნველი უფლის რწმენის გარეშე, რადგან საწუთრო და მისი საცდურნი იოლად არ ანებებენ თავს ადამიანს და მრავალგვარ მახეს უგებენ ცრუ თავისუფლების სახელით. წუთისოფელი და მისი წარმავალი სიკეთენი ჩვენს დაცემულ ბუნებას თავისკენ იზიდავს და ცოდვის მორევში ადვილად აქცევს მრავალთ.

სულ სხვაა მორწმუნეთა ცხოვრება. ესაა მუდმივი სვლა მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით, რწმენისა და სიმართლის ვიწრო გზით; და ისინი, საკუთარ თავთან ბრძოლაში გამარჯვებულნი, სძლევენ წუთისოფელს (1 ინ. 5,4).

მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა ომს თავის თავთან კი არ აწარმოებს, არამედ მოყვასთან და შუღლითა და დაპირისპირებით ცდილობს საკუთარი ეგოისტური მიზნების განხორციელებას.

***

დიდი უბედურების მომტანია ქვეყნებს შორის ომი, რადგან იგი ათასობით ადამიანის სიცოცხლეს ინირავს, ფეხქვეშ თელავს ყოველგვარ კანონს, ზნეობას, ღირებულებას, მოაქვს ნგრევა და მატერიალურ-კულტურული ზიანი, თესავს სისასტიკესა და საყოველთაო სიძულვილს, რაც, რა თქმა უნდა, სულიერადაც მეტად მძიმე ვითარებას ქმნის.

ასეთ გარემოში მნიშვნელოვანია და აუცილებელი თანალმობისა და სიკეთის გამოჩენა ომის მსხვერპლთა მიმართ (დაჭრილების, ტყვეების, მშიერ-მწყურვალთა, ბავშვების, ქალების, მოხუცების, სნეულთა და სხვათადმი), რათა დაიძლიოს ბოროტება.

უდიდეს გულისტკივილს იწვევს დღეს მსოფლიოში მიმდინარე ომები, განსაკუთრებით ჩვენს მეზობლად, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში, სადაც ადგილი აქვს შემზარავ ფაქტებსა და უმძიმეს სისასტიკეს. ამიტომაც, ყველას გვმართებს განსაკუთრებული ლოცვა და ძალისხმევა მშვიდობისათვის.

ამჟამად არსებული მდგომარეობა კი ისეთია, როდესაც აღარავინ იცის, ხვალინდელი დღე რას მოიტანს და მოვლენები როგორ განვითარდება; პროცესები შეიძლება მალე დასრულდეს, ან ხანგრძლივ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, ან, შეიძლება, ყველანი გლობალური კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ, რაც, ბუნებრივია, საყოველთაო შიშს ბადებს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ურთულესი ვითარებიდან უფალს მრავალჯერ დაუხსნია კაცობრიობა; მთავარია, უმძიმეს მდგომარეობაშიც არ დავკარგოთ ადამიანური ღირსებები, არ დავკარგოთ რწმენა და სასოება შემოქმედისა.

***

ზოგადად, შიში, როგორც გადარჩენის ინსტიქტი, კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია, ყველაზე ძლიერი კი სიკვდილის შიშია, რაც ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობაა, რადგან სულისა და ხორცის გაყრასთან არის დაკავშირებული და მათი ერთობის დამრღვევია.

თუმცა ქრისტეს მორწმუნეთ იციან, რომ სხეულის დაფვლა მიწაში და სტიქიონებად დაშლა ჩვენი არსებობის შეწყვეტას არ ნიშნავს, არამედ ეს პროცესი აუცილებელია, რათა სხეული განახლებული სახით აღდგეს.

ზოგიერთ ადამიანს უჭირს ამის დაჯერება, პავლე მოციქული მოკლედ და ნათლად ამბობს, რომ: „რასაც დავთესავთ, არ გაცოცხლდება, თუ არ მოკვდა“ (1 კორინ.15, 36). ასევეა მკვდართა აღდგომაც...„ითესება მშვინვიერი სხეული და აღდგება სულიერი სხეული“ (1 კორინ.15, 44), ხოლო ვისაც ეს აეჭვებს, ის დაეჭვებულია ქრისტეს აღდგომაშიც, „რადგან თუ მკვდარნი არ აღდგებიან, ქრისტეც არ აღმდგარა“ (1 კორინ.15,16)! - მართლმორწმუნისათვის ასეთი აზრი კი უდიდესი მკრეხელობაა და სულიერად დამღუპველი.

აღდგომილი მაცხოვარი არაერთგზის იხილეს მენელსაცხებლე დედებმა, მოციქულებმა, ხუთასზე მეტმა კაცმა და სხვებმა. იგი ორმოცი დღის მანძილზე არიგებდა და განაბრძნობდა თავის მოწაფეებს, რომელთაც, სულიწმინდის მადლით, მრავალ სასწაულთა აღსრულების უნარი მისცა; შემდეგ კი იესო ქრისტე ყველას თვალწინ ზეცად ამაღლდა და აღგვითქვა: „აჰა, მე თქვენთან ვარ დღენიადაგ, ვიდრე აღსასრულამდე ქვეყნისა“ (მთ. 28.20), და კიდევ: „ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუხილავარ და ... მირწმუნეს“ (ინ. 20.29)

***

ქრისტეს სასუფეველი მიუწვდომელი რჩება მათთვის, ვისაც არა აქვს შიში და სიყვარული ღვთისა და, ასევე, სიყვარული მოყვასისა, რაც შედეგია ჩვენი რწმენისა და მოღვაწეობითი ძალისხმევისა.

„უფლის შიში სიცოცხლის წყაროა, სიკვდილის ხაფანგისგან გამომხსნელი” (იგ. 14,27). იგი სულიერი სიბრძნის დასაწყისია, რადგან ამ მადლის მქონეთ ეძლევათ სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი, უნარი გონივრული ნაბიჯების გადადგმისა და მშვიდობისმყოფლობისა, მოყვასის სიყვარულისა და მისთვის თავდადებისა.

ღვთის შიში სხვა შიშებისაგანაც ათავისუფლებს ადამიანს და ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევას უადვილებს, რადგან იგი განსაცდელსა და მწუხარებას მისთვის საჭირო მწარე, თუმცა მაკურნებელ, წამლად მიიჩნევს და ეშინია მხოლოდ იმისა, რომ არ შეექმნას სულიერი სიკვდილის საფრთხე (შდრ. მთ. 10,18).

ღვთის შიში უფალთან სიახლოვით მტკიცდება, უფრო აღმატებულ სულიერ მდგომარეობაში კი მას სრული სიყვარული ცვლის, როგორც ამბობს წმინდა იოანე ღვთისმეტყველი: „სიყვარულისთვის უცხოა შიში, რადგანაც სრულქმნილი სიყვარული განდევნის შიშს, ... ხოლო ვისაც შიში აქვს, არასრულქმნილია სიყვარულში” (1 ინ. 4.18).

სრულქმნილი სიყვარულის მიღწევისათვის ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველა საეკლესიო მსახურება გულისხმობს უფლისადმი ვედრებას: „შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცევ ჩვენ, ღმერთო, მადლითა შენითა“

მოციქული გვარიგებს, - ილოცეთ მუდამ (1 თეს. 5,17), რაც ადვილი არ არის, მაგრამ არსებობს მარტივი ლოცვა, რომელიც დიდად შეეწევა ადამიანს, თუკი რწმენით აღასრულებს მას. ეს არის „უფალო, შეგვიწყალენ.“

თქვენი ყოველდღიური ლოცვების გარდა, იმეორეთ იგი გულში ყველგან და ყოველთვის, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ.

ეს ორი სიტყვა ღრმა აზრის შემცველია; მისი საშუალებით ჩვენ ვაღიარებთ, რომ ღმერთს ვართ მინდობილნი და მას შევთხოვთ მფარველობას, რომ ცოდვილნი ვართ, მაგრამ იმედი გვაქვს მისი მოწყალებისა, ვაღიარებთ იმასაც, რომ მის გარეშე ვერც სულიერ სიბრძნეს შევიძენთ და ვერც ბოროტს დავამარცხებთ.

ასე რომ, გამუდმებით ილოცეთ - „უფალო, შეგვიწყალენ“ და მარად გახსოვდეთ, რომ „თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულიწმინდისა, რომელიც გაქვთ ღვთისაგან.

„ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღვთისა“ (1 კორინ. 6, 19-20); იღვაწეთ, რომ, წუთისოფელში თქვენი დროებითი მყოფობა ზესთასოფელში დაუსრულებელი მყოფობის წინაპირობად იქცეს, იცხოვრეთ მარადიული სიცოცხლისათვის, იცხოვრეთ ქრისტესთვის!

ქრისტე აღსდგა!

მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ და განგამტკიცოთ რწმენასა და სიყვარულში. იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი, ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა – თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი.

აღდგომა ქრისტესი,
თბილისი, 2022.

---

95 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდებული გვარის (ბოსტოღანაშვილი) წარჩინებული წარმომადგენელი - ქალბატონი **ნინო მასწავლებელი** (ნუცა დეიდა). იგი იყო მაღალი კვალიფიკაციის ქართული ენის პედაგოგი, რომელსაც მუშაობა არ შეუწყვეტია ღრმა მოხუცებულობამდე, კერძოდ: 2015 წლამდე ასწავლიდა ე.წ. კერძო სკოლაში, ხოლო 90 წლის (!) ქალბატონი სახლში კვლავ აბიტურიენტებს ანაზღაურების გარეშე (!) ამზადებდა. უფრო მეტიც, ეროვნული გამოცდების წინ, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, მოსწავლეებს იბარებდა დილის 6 საათზე. გამოიკითხავდა ძველ მასალას, მისცემდა დავალებას და საღამოს 6 საათზე კვლავ დაიბარებდა. შედეგი: ვინც ნინო მასწავლებლის ამ „რეჟიმს“ გაუძლებდა, მას ეროვნულ გამოცდაზე უმაღლესი შეფასება გარანტირებული ჰქონდა. თუ ვინმე ახლობელი გაუბედავდა და ეტყოდა: დაისვენე ნუცა, ამ ასაკში ასეთი შრომა აღარ შეიძლებაო. ნინო მასწავლებელი ქიზიყური პირდაპირობითა და ამ პირდაპირობის გამოხატვის მაჩხაანური მანერით უპასუხებდა: ჯერ ერთი, ადამიანი იმიტომ უნდა იღებდეს განათლებას, რომ სხვას ასწავლოს; მეორე, ამ ბავშვებს ეკონომიკური საშუალება არა აქვთ, რომ სხვაგან მოემზადნენ და მესამე, შენ რომ ქართული ენის მადლი ბოლომდე გესმოდეს და ეს ენა ჯეროვნად გიყვარდეს, მაშინ ამ „რჩევას“ აღარ მომცემდიო! ნინო მასწავლებელი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იყო რუსთაველის საზოგადოების დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. ბევრისთვის კარგადაა ცნობილი ამ საზოგადოების თაოსნობით გაკეთებული ეროვნული სიკეთეები...დიახ, ქალბატონი ნინო ბევრს ემახსოვრება როგორც სპეციალობის დიდი მცოდნე; ზოგს- როგორც მკაცრი ქალბატონი; სხვას- ზედმეტად პირდაპირი; ზოგს - „გამოწკეპილი მოხუცი“ დილით რომ აჩქარებულად „მიპლასკუნობდა“ სკოლისკენ; უმრავლესობას - როგორც დიდი პატრიოტი, ხოლო ჯამში - როგორც დედოფლისწყაროს ინტელექტუალური კოლორიტი!

ვევედროთ უფალს, ნინო მასწავლებლის სულს დაუმკვიდროს ადგილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, ამინ!

გიორგი კიკილაშვილი

კერძო კლინიკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა თავაძის ოჯახს

ოლია ჯანყარაშვილის

გარდაცვალების გამო.

შეღავათი თუ ზედმეტი ხარჯი?!

გამომთვლელი რამდენჯერაც უნდა ჩართოთ, მაინც ვერასდროს დაიანგარიშებთ, თუ რამდენჯერ გდომებიათ საჭირო საქმისთვის გამოტანილი სესხის დროულად დაფარვა, იმას, თუ რამდენჯერ დაგითვლიათ დარჩენილი დრო სესხის სრულ დაფარვამდე. ვერც იმას, თუ რამდენჯერ მიგიმატებიათ დასაფარი სესხის თანხა მწირი შემოსავლისთვის და რამდენჯერ გიოცნებიათ, რომ ეს თანხა თქვენთან რჩებოდეს და უკან ასმაგად არ აბრუნებდეთ, „მსესხებელთან“.

ყველაფერი კი ერთი მარტივი ფრაზით: „თანახმა ვარ“ და ხელის მოწერით იწყება. თუმცა ერთი განსხვავებით, ეს არც ქორწინებაზე თანხმობაა და არც მისი ოფიციალურად დარეგისტრირება. ეს სესხის გამოტანის ავბედითი პროცესია. თუმცა, არა, მოიცადეთ, მის მისაღებად თანამედროვე ცხოვრებაში ხომ ხელის მოწერაც კი არ გჭირდებათ. უბრალოდ, მომაბეზრებელ შეტყობინებაზე მის მოსაშორებლად დათანხმებული და ნათქვამი „კიც“კი საკმარისია, რომ ვუალა, საქმე გაკეთებულია. ანდაც ტელეფონში, მორიგი, ლამაზად შეფუთული საცდუნებელიც კი სმს-ად მოგეჩვენებათ და დააწვებით ღილაკს „ოკ“. შემდგომ კი იწყება ავადმომასწავებელ გრაფიკში გადახდის რიცხვის ლოდინი, რომელიც ისევე შეგძულდებათ, როგორც საბავშვო ბაღში გძულდათ მანიფაფა ანდაც კაკაო. ყველაფერი „გენიალურიც“ ხომ მარტივია.

ყველას გვყავს ერთი მეგობარი, ანდაც ნაცნობი, რომელმაც ქვეყანაში კორონავირუსის COVID-19-ის გავრცელების გამო შექმნილი მდგომარეობისა და მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით, საქართველოს რამდენიმე კომერციული ბანკის სამთვიანი საშეღავათო პერიოდით სარგებლობა გადაწყვიტა, ანდაც, გადაანყვეტინეს, ავტომატურად, უნებლიედ. იფიქრებთ, ეს ხომ ძალიან კარგი იყო, საშეღავათო პერიოდი ბევრმაც ძალიან კარგად გამოიყენაო, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს „ბევრია“, და არა „ყველა“. აქედან გამომდინარე, ეს შესაძლებლობა თქვენთვის შეიძლება სულაც არ წარმოადგენდა შეღავათს და საბოლოოდ, ზედმეტი ხარჯის გაღება მაინც მოგიწიათ.

კომერციული ბანკების განცხადებით, სესხების გადავადებით სარგებლობა ნებაყოფლობითი და მსესხებლის სურვილზე იყო დამოკიდებული. თუმცა, ეს, ალბათ, მხოლოდ განცხადებით. სრულიად შემთხვევით, უბრალო გადამოწმების მიზნით ბანკში მისული, თუ სულ სხვა რეალობას გადააწყდით, არ გაგიკვირდეთ, რადგან ეს ყველაფერი არც ისე შეღავათურად ჟღერს, როგორც გგონიათ. გათვლილ და თვიდან თვემდე გაწერილ ფინანსებში, როდესაც მცირედი ცვლილებაც კი უარყოფითად აისახება ხოლმე ოჯახის არსებობაზე, სამთვიანი და თანაც მომატებულ/გაძვირებულ/გადადებული სესხის დაფარვა, დამეთანხმებით, არც ისე ბედნიერების მომტანია.

„ბედნიერებით“ ტკბობა უფრო მძაფრად შემოგიტევთ, თუ ეს არც თქვენი ნება-სურვილით მომხდარა და მსესხებელი თავის ინფორმაციულ ვაკუუმს თქვენ „გაბრალებთ“. საუკეთესო თავდაცვა რომ თავდასხმაა, ეს ყველამ კარგად ვიცით, გამოვცადეთ და ავითვისეთ.

თუმცა, იცით ასეთ ამბებში ყველაზე ტრაგიკული და ირონიული რა არის? მსესხებლის მშვიდი, ოდნავ ცინიზმშეპარული დაბალი ტემბრი და ამ „მათრობელა“ ტემბრს მოყოლილი შემოთავაზებათა ახალი ნუსხა: „თქვენ დამტკიცებული გაქვთ სამომხმარებლო სესხი, იპოთეკური სესხი, ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათები, განვადება, სოციალური სესხები, ფიზიკურ პირებზე გაცემული სამეწარმეო სესხები, ოქროთი უზრუნველყოფილი სესხი და ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხი, ხომ არ ინებებდით?“. ამ დროს თქვენ უნდა დაივიწყოთ, რომ:

1)თქვენ გასარგებლეს საშეღავათო პერიოდით, რომელიც სულაც არ გამოვიდა შეღავათი და სულაც არ იყო თქვენი ნება-სურვილით;

2)სესხი კი არ დამთავრდა, პირიქით, გაიწელა;

3)თქვენ მიერ გადასახდელი თანხა გადანაწილდება სესხის დაფარვამდე დარჩენილ თვეებზე;

4)ველარაფერს შეცვლით;

ალბათ, ამ ჩამონათვალიდან, ყველაზე რთულად დასავიწყებელი მეოთხე ფიქრია, როდესაც ველარაფერს შეცვლით. ეს იმის პარალელურად, როდესაც ყველა თქვენი ქმედება თვალწინ „ამოიპრინტება“ და ასჯერ გადაკითხვაც კი არ შველის მომხდარს. ფაქტია: ადამიანი ეგუება ყველაფერს, ნებსით თუ უნებლიედ, სხვა ამბავია, მაგრამ ეგუება...

აშკარაა, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე „თანახმა ხარ“ თუ არა, ასჯერ უნდა გაზომოთ და ერთხელ გაჭრათ. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, ეს ქვეყანა ჩალით დაიფარება და უკან დასაბრუნებელი და გასათვალისწინებელიც, კვლავ ნებსით თუ უნებლიედ, აღარაფერი იქნება.

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ფუტკრის ლაფეტი რუსული სკებით და ყველა საჭირო ინვენტარით. მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე.

ტელ: 595 14 51 10

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 02.05		სამშაბათი 03.05		ოთხშაბათი 04.05		ხუთშაბათი 05.05		პარასკევი 06.05		შაბათი 07.05		კვირა 08.05	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
14°	7°	15°	7°	14°	7°	13°	7°	15°	8°	17°	8°	21°	9°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.